



იაკობ გოგებაშვილის
პირადი არქივის აღწერილობა

2012

სარჩევი

| | |
|--|-----|
| I შესავალი ----- | 3 |
| II იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიული ცნობები ----- | 4 |
| III ბიოგრაფიული მოღვაწეობის ამსახველი მასალა ----- | 6 |
| IV შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა (სტატიები, პუბლიკაციები, წერილები) ----- | 8 |
| V მასალები სახელმძღვანელოებისათვის ----- | 18 |
| VI ჩანაწერები, მოხსენებითი ბარათები, ამონაწერები ----- | 19 |
| VII რეცენზიები ----- | 22 |
| VIII ოქმები და ხელშეკრულებები ----- | 23 |
| IX მიმართვები და მოსაწვევი ბარათები ----- | 24 |
| X მიმოწერა | |
| ა) იაკობ გოგებაშვილის წერილები სხვისი მისამართით ----- | 32 |
| ბ) სხვისი წერილები იაკობ გოგებაშვილთან ----- | 33 |
| XI სხვადასხვა ----- | 82 |
| XII ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვა საარქივო ფონდებში დაცული მასალა იაკობ გოგებაშვილის შესახებ ----- | 89 |
| XIII ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვა საარქივო ფონდების ერთეულები, რომლებშიც მოხსენიებულია იაკობ გოგებაშვილი ----- | 93 |
| XIV საძიებლები: ა) პირთა ----- | 96 |
| ბ) ტოპონიმთა ----- | 106 |
| XV იაკობ გოგებაშვილის პირადი საარქივო ერთეულების ახალი და ძველი ნომრების შემაჯერებელი ცხრილი ----- | 108 |

I შესავალი

პედაგოგის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერალისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის არქივი A (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდი), S (ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი) და H (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ფონდი) კოლექციებიდან მასალის გამოსაშვრის შედეგად შეიქმნა. აღნიშნული ფონდები ხელნაწერთა ინსტიტუტს მისი დაარსების დღიდან 1958 წელს გადმოეცა.

იაკობ გოგებაშვილის პირადი არქივის აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: I შესავალი; II იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიული ცნობები; III ბიოგრაფიული მოღვაწეობის ამსახველი მასალა; IV შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა (სტატიები, პუბლიკაციები, წერილები); V მასალები სახელმძღვანელოებისათვის; VI ჩანაწერები, მოხსენებები ბარათები, ამონაწერები; VII რეცენზიები; VIII ოქმები და ხელშეკრულებები; IX მიმართვები და მოსაწვევი ბარათები; X მიმწერა: ა) იაკობ გოგებაშვილის წერილები სხვისი მისამართით; ბ) სხვისი წერილები იაკობ გოგებაშვილთან; XI სხვადასხვა; XII ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვა საარქივო ფონდებში დაცული მასალა იაკობ გოგებაშვილის შესახებ; XIII ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვა საარქივო ფონდების ერთეულები, რომლებშიც მოხსენიებულია იაკობ გოგებაშვილი; XIV საძიებლები: ა) პირთა; ბ) ტოპონიმთა.

არქივის გადამუშავების შედეგად 640 ერთეულის ნაცვლად გვაქვს 637 ერთეული. იაკობ გოგებაშვილის არქივის სრულყოფის მიზნით გადამუშავებისას ფონდიდან „სხვადასხვა“ გადმოვიტანეთ 2 საარქივო ერთეული, რომელიც უშუალოდ ი. გოგებაშვილს ეხება. კერძოდ, ფონდ „სხვადასხვას“ № 13 (სასოებბაძის [იაკობ გოგებაშვილის] წერილი – მარის ოინბაზობა), რომელსაც ი. გოგებაშვილის არქივში მიეცა №582 და № 377 (იაკობ გოგებაშვილის „Сванетия“), რომელსაც მიეცა №620. სხვადასხვა პირთა სადარბაზო ბარათები (სულ ექვსი საარქივო ერთეული ძვ. №№ 301, 304, 320, 526, 552 და 586) გაერთიანდა და ერთ საარქივო ერთეულში № 637 მოთავსდა.

არქივის აღწერილობას ასევე დაემატა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვა საარქივო ფონდებში დაცული მასალის აღწერილობა იაკობ გოგებაშვილის შესახებ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვა საარქივო ფონდების იმ ერთეულების სია, რომლებშიც მოხსენიებულია იაკობ გოგებაშვილი .

პირველად იაკობ გოგებაშვილის არქივი 1952-1959 წწ. ელენე კელენჯერიძემ დაამუშავა აღნიშნული არქივი 2012 წელს გადაამუშავა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა ირმა ხოსიტაშვილმა.

II იაკობ გოგებაშვილის (1840-1912 წწ.) ბიოგრაფიული ცნობები

პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი დაიბადა სოფ. ვარიანში 1840 წლის 15 ოქტომბერს (27 ოქტომბერი), მღვდლის ოჯახში. სწავლობდა ჯერ გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში. იაკობი მეტად ბეჯითი მოსწავლე იყო, ბევრს მეცადინეობდა და მალე საუკეთესო მოწაფე გახდა. მას ძალიან აინტერესებდა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა საეკლესიო ისტორიასა და საღვთისმეტყველო წიგნებს. შემდგომში ეს ცოდნა მას დაეხმარა, ბავშვებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე, დაეწერა საღმრთო ისტორია.

1855 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1861 წელს კი — კიევის სასულიერო აკადემიაში. პარალელურად უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისმენდა ლექციებს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა 1863 წელს სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1864 წელს გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს მის ინსპექტორად დაინიშნა. ამავე დროს, იგი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ. იაკობი მაშინვე შეუდგა ძველი ჩვევების აღმოფხვრას: სემინარიის გამგეობას სწავლის პროცესის მთლიანად გარდაქმნის პროექტიც წარუდგინა, სრულიად გააუქმა დასჯის მეთოდი.

1865 წ. გამოვიდა ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, შემდეგ — „ბუნების კარი“ (1868), „დარიგება მოსწავლეთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში“ (1872), „დედა ენა“ (1876). „დედა ენა“ გოგებაშვილის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოიცა, გარდაცვალების შემდეგ 25-ჯერ. „დედა ენას“ „ვეფხისტყაოსნის“ ბადალი უწოდეს, რადგან ხალხისათვის ყველაზე საყვარელი და პოპულარული წიგნი გახდა. გოგებაშვილის წიგნები ათი ათასობით ვრცელდებოდა. ამ წიგნებმა დაულო საფუძველი განათლების ფართოდ გავრცელებას. გოგებაშვილის პროგრესულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სინოდისა და მეფის ხელისუფალთა უკმაყოფილება გამოიწვია და 1874 წელს, იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, მოხსნეს თანამდებობიდან ისე, რომ თავის მართლების საშუალებაც არ მისცეს. ამის შემდეგ, გოგებაშვილი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა და მთელი სიცოცხლე საზოგადო მოღვაწეობას მიუძღვნა. ი.გოგებაშვილი დაულაღავად იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის საქართველოში. იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით. განსაკუთრებით ღიძია მისი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში.

იაკობ გოგებაშვილმა ჩვენში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპებად — შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანამიმდევრობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება. პედაგოგიკისა და ცალკეულ საგანთა მეთოდის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა განხილულია გოგებაშვილის შრომებში: „ბურჯი ეროვნებისა“, „ხე ნაყოფით იცნობება“, „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, „ბრმა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში“, „ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ“, „სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უკიდურესი გაჭირვება მისი“, „განათლების მდგომარეობა საქართველოში“, „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“ და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი.გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები. „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

მოსწავლეთათვის“ (1865), „ბუნების კარი“ (1868), „დედა ენა“ (1876), „რუსკოე სლოვო“ (1887), რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში და რომელთა პრინციპზეა შედგენილი ქართული სკოლების დაწესებითი კლასებში მოქმედი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები.

ი. გოგებაშვილი არის ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელი. მისი მხატვრული შემოქმედების ძირითადი წყარო იყო ქართული ფოლკლორი. მოზარდებს სამშობლოსათვის თავდადებასა და სიყვარულს შთააგონებს, ცნობილი მოთხრობა „იაენანამ რა ჰქნა“ (1890) ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ხალხთა მეგობრობას ქადაგებს.

ი. გოგებაშვილი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის; იგი მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, ცალკეულ საზოგადო მოღვაწეებს, პოეტებს, მწერლებს და სხვებს, სისტემატურად უზრუნველყოფდა რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს.

გარდაცვალების წინ ი.გოგებაშვილმა მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

1912 წლის 1 ივნისს (14 ივნისი) იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა. 1940 წელს აღინიშნა ი.გოგებაშვილის დაბადების 100 წლის იუბილე და მისი ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

III ბიოგრაფიული მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ი. გოგებაშვილის თხოვნა კიევის სასულიერო აკადემიის მმართველს. სთხოვს ჯანმრთელობის გაუარესების გამო გააგზავნონ აკადემიის აგარაკზე.
1862 წ., 22 ივნისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ფოტოპირი, 1 ფ.
2. „ჩემი როგორც თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მოღვაწეობის შესახებ“.
პირი: ზინჩენკო, კერსკი.
[1878 წ.], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 6 ფ.
3. თბილისის საზოგადოების სასოფლო-სამეურნეო საერთო საკრედიტო კომიტეტში შესვლის ვალდებულება, ხელმოწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ.
1895 წ., 15 მაისი, რუსულ ენაზე, დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე, ახლავს იაკობ გოგებაშვილის ხელმოწერა, 1ფ.
4. იაკობ გოგებაშვილის მიერ გადახდილი ბინის ქირის ქვითრები (3 ც.).
1901-1909 წწ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.
5. იაკობ გოგებაშვილის სამედიცინო ანალიზები.
პირი: ტ.ს. ქიქოძე - ექიმი, ა.ნ. დიასამიძე - ექიმი.
1901 წ., 3 ივნისი - 19011 წ., 14 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 12ფ.
6. აზოგ-დონის კომერციული ბანკის ანგარიში იაკობ გოგებაშვილის მიმართ.
1906წ., 13 მაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, დაზიანებული, 1 ფ.
7. თბილისის ქალაქის მმართველობის უწყებები იაკობ გოგებაშვილს მისი მამულის შესაფასებელი ხარჯის დაფარვის შესახებ. აქვეა ქალაქის მმართველობის მიერ გაცემული ქვითარი.
1907 წ., 15 დეკემბერი-1912 წ., 20 თებერვალი, რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე, ნაწილობრივ ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკებზე, 3 ფ.
8. იაკობ გოგებაშვილის უვადო პასპორტი.
ტოპონიმი: თბილისი.
1908 წ., 6 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ც., 10 ფ.
9. იაკობ გოგებაშვილის თხოვნა მისი ანდერძის აღმსრულებლებს. გამოთქავს სურვილს, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ დაკრძალონ ქუთაისში.

1910 წ., 26 ივნისი, თბილისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

10. თბილისის კომერციული ბანკის ქვითრები.

1910 წ., 31 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 4 ფ.

11. ცენტრალური ბანკის ქვითრები.

1911 წ. 26 თებერვალი - 16 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი ოფიციალურ ბლანკზე, 1 კონვერტი, 4 ფ.

12. სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების ქვითრები კონსტანტინე კასრაძის მიერ იაკობ გოგებაშვილის ანგარიშისათვის ბანკში სადაზღვეო თანხის შეტანის თაობაზე.

1911 წ., 12 ნოემბერი-1913 წ., 10 მარტი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ოფიციალურ ბლანკზე, 4 ფ.

13. ნიკო მარის დეპეშა „სახალხო გაზეთის“ რედაქციის იაკობის გარდაცვალების თაობაზე.

[1912 წ., ივნისი], ფოტოკოპირი, რუსულ ენაზე, ნ. მარის ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

14. იაკობ გოგებაშვილი – „ჩემი სიყმაწვილის ამბები“.

პირი: სობოლშჩიკოვი (ექიმი), ნიკოლაძე (გაზ. ობზორი), ხაჩეტურ ანცუმი, კეზელი.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, ბოლონაკლული, 2 ფ.

IV შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ა) სტატიები, პუბლიკაციები, წერილები.

15. იაკობ გოგებაშვილი – „ბრძოლა პრეზიდენტის ლინკოლის მოკვლის შემდეგ კონგრესსა და ახალ პრეზიდენტს შორის ამერიკის შერთებულ შტატებში“ (პოლიტიკური მიმოხილვა).

1866 წ., ავტოგრაფი, შავი, დაბეჭდილია „დროება“ 1866 წ., №9, გასწორებულია ფანქრით, 8 ფ.

16. „აბასთუმანი“ – ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული აღწერა.

1874 წ., რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ბოლონაკლული, 4 ფ.

17. ქართულ-სომხური ურთიერთობის შესახებ.

[1877წ.], რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 16 ფ.

18. „К проекту о безсловсных учителях“.

[1877წ.], რუსულ ენაზე ენაზე, ავტოგრაფი, 40 ფ.

19. „სამწუხარო მოვლენა პედალოლიაში - პასუხი უ. ნათიევს“. ღია წერილი ეხება სკოლებში პირველ კლასში მხოლოდ ქართულ ენის სწავლების აუცილებლობას.

[1877 წ.], ავტოგრაფი, 9 ფ.

20. სტატია – „ვინ და როგორ გადაიღო პირველად ნოტებზე სახალხო სიმღერები სახალხო სკოლებისთვის“.

[1878 წ.], ავტოგრაფი, შავი, ნასწორები ფანქრით, დაბეჭდილია „დროებაში“ 1881 წელს, ახლავს ცენზორის მინაწერი: „16 сентября 1882. Тифлис, И.Д. цензор В. Амиров“. 5 ფ.

21. სტატია – „შინაური მიმოხილვა“.

სტატია ეხება აჭარის საქართველოსათვის შემოერთებას, სკოლების გახსნასა და პირველდაწყებითი განათლების სისტემის განვითარებას.

პირი: სტილექცი - კავკასიის სასწავლო ოლქის მეთაური; ხითაროვი; იოანნიკე - ეგზარქოსი.

1879 წ., ავტოგრაფი, დაბეჭდილია, ჟურნალ „ივერიაში“, 1879 წ., № 1, 25 ფ.

22. სტატია „შინაური მიმოხილვა“.

იაკობ გოგებაშვილი საუბრობს ქართულ საზოგადოებაში ეროვნული გრძნობის გამოღვიძების, პატრიოტების, დ. ჩუბინაშვილის დაფასებისა და საერო და სასულიერო სასწავლების უნუგეშო მდგომარეობის შესახებ.

1880 წ., ავტოგრაფი, აქვე ჟურნალ „ივერიის“ ფურცლები ამ სტატიის შემცველი, შავი, ნასწორები, 51 ფ.

23. სტატია - „ხე ნაყოფით იცნობება“. გაზეთ „დროების“ ორი ნომერი (№№2,3) ამ სტატიით.

1880 წ., 4-5 იანვარი, ნაბეჭდი, ნასწორები ფანქრით იაკობ გოგებაშვილის მიერ, 2 ფ.

24. პუბლიცისტური და პედაგოგიური წერილები (სამოსწავლო გეგმა, განათლების მდგომარეობა საქართველოში, იმერეთის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრება, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მზათ ვართ? სამღვდელთა კრება).

1880-1881 წწ., ავტოგრაფი, 70 ფ.

25. სტატია – „განმარტებითი წერილი სამეურნეო სწავლების გეგმისა, რომელიც არსდება წინამძღვრითანთკარში“.

[1881-1905წწ.], ავტოგრაფი, შავი, ნასწორები ფანქრით, 26 ფ.

26. სტატია – „მირაპოლსკის რევიზიის გამო“.

1881 წ., ავტოგრაფი, შავი, ნასწორები ფანქრით, 2 ფ.

27. სტატია – „უმეცრების ამაყობა (ვუძღვნი სახალხო მასწავლებლებს)“.

1882 წ., დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე, შავი სახით, ხელმოწერილი ცენზორის მიერ, 28 ფ.

28. სტატია – „სწავლის კურსი სახალხო სკოლებში“.

[1882 წ.] 11 მარტი, ავტოგრაფი, ბოლონაკლული, 2 ფ.

29. სტატია – „სწავლის კურსი სასოფლო სკოლაში“.

1882 წ., 13 მარტი, ავტოგრაფი, შავი, ნასწორები ფანქრით, 2 ფ.

30. სტატია – „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“.

[1883 წ.] ავტოგრაფი, შავი, ნასწორები ფანქრით, 3 ფ.

31. იაკობ გოგებაშვილის წერილი – „უკუღმართი ნაბიჯი“. ქართულ სკოლებში რუსული ენის არასწორად სწავლების შესახებ.

1883 წ., დაბეჭდილია ჟურნალ „ივერიის“ №3 ნომერში, ბოლონაკლული, 4 ფ.

32. „რა მიზეზია წერა-კითხვის საზოგადოების მცირე ნაყოფიერებისა?“

[1883 წ.] დაბეჭდილია „დროების“ 1885 წ. 16 დეკემბრის ნომერში, ავტოგრაფი, შავი, ნასწორები ფანქრით, 8 ფ.

33. სტატია – „კიდევ უდროო მსხვერპლი სიკვდილისა“ (ბარონ კორფის გარდაცვალების გამო).

[1883 წ.] ავტოგრაფი, დაბეჭდილია „დროებაში“, №232, 5 ფ.

34. სტატია – „საკვირაო სკოლების მნიშვნელობა“.

[1883 წ.] ავტოგრაფი, ნასწორები ფანქრით, შავი, 4 ფ.

35. სტატია – „ქართული დედნის შესახებ“.

1883 წ., ავტოგრაფი, შავი, ნასწორები ფანქრით, 15 ფ.

36. ბიბლიოგრაფიული წერილი ჟურნალ „ნობათის“ შესახებ.

[1884], დაბეჭდილია 1884 წ. „დროების“ ნომერებში №№ 7,12,13, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებული, 12 ფ.

37. სტატია – „მსხვერპლი დედა-ენის უცოდინარობისა“.

1884 წ., ავტოგრაფი, შავი, დაბეჭდილია „დროებაში“ № 189, 21 ფ.

38. „სიმართლეს ვერსად წაუხვალთ (პასუხად გ. წერეთლისა)“.

[1894 წ.] ავტოგრაფი, 5 ფ.

39. „ნაბოლარა (საგრამატიკო შენიშვნა)“.

1894 წ., 3 დეკემბერი, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ასლი ფანქრით ნაწერი და ნაკლული, ხელმოწერილია იაკობ სიმონიძის მიერ, სულ 10 ფ.

40. „ჭრელი წერილები. წერილი პირველი. მღაღადებელი ციფრები“. საქართველოს საგანმანათლებლო სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველი, სომეხი და რუსი მასწავლებლებისა და მოსწავლეების პროცენტული რაოდენობის შესახებ.

[1898 წ.] ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, ხელმოწერილია ფსევდონიმით „ვარიანელი“, 15 ფ.

41. „დღევანდელი კვერცხი, თუ ხვალინდელი ქათამი“.

[1899 წ.] სხვისი ხელით ნაწერი, სათაური ავტოგრაფი, დაბეჭდილია „ივერიის“ 1899 წლის № 41-ე ნომერში, თავნაკლული, 3 ფ.

42. ი. გოგებაშვილის სტატია „О Грузинском и Русском Альфавитах с педагогической точки зрения“.

1902 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ბროშურის სახით, ფანქარი, ახლავს იაკობის მინაწერი დასაწყისში: „ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს. ავტორისგან“, 15 ფ.

აქვე: ქ. ლომთათიძის წერილი ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს ელენე მეტრეველს. აცნობებს, რომ აღნიშნული ბროშურა მას გამუუგზავნა ცნობილი კავკასიოლოგის პროფ. გენკოს მეუღლემ. ქ. ლომთათიძე აღნიშნულ სტატიას უძღვნის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

პირი: ლ. პანკიევი (გენკოს მეუღლე).
1975 წ. 20 ივნისი, ხელით ნაწერი, 1 ფ.

43. “К вопросу о мингрельской начальной школе“. მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“.

[1903 წ.] ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, თბილისი, ხელმოწერილია ფსევდონიმით: „ვარიანელი“, აქვე ფრჩხილებში მიწერილია: (იაკობ გოგებაშვილი), 10 ფ.

44. „ბურჯი ეროვნებისა“.
ორი ნაბეჭდი ფურცლის კორექტურა.

1903 წ. 25 ნოემბერი, ნაბეჭდი, გასწორებული ავტორის და ცენზორის მიერ, ახლავს ცენზორის ა. ქიმშიაშვილის ხელმოწერა, 2 ფ.

45. „პატარა პასუხი დიდს მსწავლულსა (ბატონ ჯავახიშვილის წერილის გამო)“ და „პატარა პასუხი დიდს ლათიაზე (თავ. ივ. ჯავახოვის წერილის გამო).“

[1904 წლის შემდეგ] ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, მეორე წერილს ახლავს ასლები, ნაკლული, 10 ფ.

46. „უდიდესი დღის ვარმები“.

სწერს თავისუფალი სკოლისა და საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის შესახებ.

[1905 წ.] ავტოგრაფი, შავი, გასწორებულია ფანქრით, 13 ფ.
პირი: ცვეთნიცი, ბაბოვი (რუსი პედაგოგები).

47. სტატია - „Рабское состяние грузинской церкви“.

1905 წ., 10 მარტი, ნაბეჭდი, გასწორებული იაკობ გოგებაშვილის მიერ, აქვე მისივე მინაწერი: „მარტის უკანასკნელ რიცხვებში პირი ამ სტატიისა გაეგზავნა ნამესტნიკს ვორონცოვ-დაშკოვს, მეორე პირი ნიკოლაძემ წაიღო დასაბეჭდად გაზეთ რუსში ან სხვა რუსულს გაზეთში“, 13 ფ.

48. სტატია - „კიდევ ქართული დეფექტი“.

ქართულ სკოლებში საღვთო სჯულის რუსულად სწავლების საწინააღმდეგო აზრის შესახებ.

[1911 წ.] ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, შავი, 5 ფ.

49. „ორი ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან. პირველი ამბავი: თავდადებული ქართველი ეჯიბი, მეორე ამბავი: ქართველთა მეფე გლეხის ქონში სტუმრად“.

[1912 წ.] ავტოგრაფი, 7 ფ.

50. „О провержении отчета Керского“. „კერსკის ანგარიშის უარყოფისათვის“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 51 ფ.

51. „Отчет г. Керского“ და „О провержении отчета Керского“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 51 ფ.

52. „Нынешнее состояние Грузии“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, შავი, 8 ფ.

53. „За сорок лет таму назад (по поводу письма покойного Епископа Гавриила к Экзарху Грузии)“. „40 წლის წინ (განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის წერილის თაობაზე საქართველოს ეგზარქოსის მიმართ)“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ფანქრით ნაწერი, შავი, 12 ფ.

54. „უსამართლო ინსინუაცია“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

55. „ბრმა წინამძღოლობა“.

უთარილო, ავტოგრაფი, ხელმოწერილია „ვარიანელი“, ახლავს მინაწერი: „ეს დაბეჭდილია მოამბეში, 10 ფ.“

56. „ამოცანანი პირველ ასეულ რიცხვებიდან. წელიწადი პირველი“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 12 ფ.

57. „დაშნაკაცაკანების სადიკტატორო მადა“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 3 ფ.

58. „თფილისის დროს გასატარებელი ადგილები და ქართული თეატრი“.

პირი: იაბლოჩკინი, ნადღერი (რუსული თეატრის ხელმძღვანელი).
უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ბოლონაკლული, 2 ფ.

59. კრიტიკული წერილი - „ჭრიანტელი ანუ პასუხი დიდსა და პატარა ნადიაკვნარებსა“.

უთარილო, ავტოგრაფი, ხუმარასი, 13 ფ.

60. „სუსტი მოძრაობა გონებისა ჩვენში“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ხელმოწერილია: „იაკობ სვიმონიძე“, 9 ფ.

61. „დაბალი ღობე ერთა შორის“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ნასწორები ფანქრით, დაბეჭდილია „ივერიაში“, 1894 წ., № 138, ხელმოწერილია: „ნ. კალ-ძე“, 4 ფ.

62. „შენიშვნა ქართულის ზმნის შესახებ (ბატ. ნასიძის წერილის გამო)“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ავტორისსავე მინაწერი ფანქრით: „დაუბეჭდელია“, 15 ფ.

63. „ერთი პოლემიკის გამო (წერილი რედაქციისადმი)“.

უარყოფს გავრცელებულ ხმებს მისი და ნიკო მარის დაპირისპირების შესახებ.

პირი: ჯანაშიელი, გიგო რცხილაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ვასილ ყოფიანი, ნიკო ცხვედაძე.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ახლავს მეორე ცალი, 5 ფ.

64. „უშვერი ცილისწამება“.

პირი: მიხეილ ათანასეს ძე ქიქოძე, კალანდარაშვილი.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ბოლონაკლული, 2 ფ.

65. „ორი ნიმუში უკუღმართობისა ხალხის განათლებაში“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, დაუსრულებელი, 2 ფ.

66. „სამგვარი მოხელე“.

პირი: სასულიერო სემინარიის მასწავლებლები - მახათაძე, ფერაძე.
უთარილო, ავტოგრაფი, შავი, დაზიანებული, 2 ფ.

67. წერილი „სახალხო გაზეთის“ მეთაურის სტატიის საპასუხოდ. საუბრობს კავკასიის მეფისნაცვლის გრაფ ვორონცოვ დაშკოვის მიერ თვითმკვლელობის რეფორმის შეჩერების შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, 2 ფ.

68. „პრინციპიალური პედაგოგიური შენიშვნა“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, ბოლონაკლული, 1 კონვერტი, 2 ფ.

69. სტატია - „მისაბაძი მაგალითი“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, დაუსრულებელი, 2 ფ.

70. სტატია - „ზეციური გამათრახება ქართველი ქალებისა“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 2 ფ.

71. სტატია - „მცირე შენიშვნა“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 1 ფ.

72. სტატია - „ჩვენებური ვირთაგვები“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, ხელმოწერილია: „ვარ-ნელი“, 5 ფ.

73. სტატია - „ჩვენი გულუბრველობა“.

უთარილო, [1910 წ.] ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 2 ფ.

74. სტატია - „ისტორიული ცნობა შესახებ სამოსწავლო გეგმისა“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 2 ფ.

75. სტატია - „რა დაეკარგეთ?“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ბოლონაკლული, 2 ფ.

76. სტატია - „სააზნაურო გიმნაზიის განახლების შესახებ“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ბოლო გვერდი ფანქრით ნაწერი, 9 ფ.

77. სტატია - „სახელმძღვანელოების შესახებ“.

უთარილო, ავტოგრაფი, სათაური დაწერილი ფანქრით, 3 ფ.

78. სტატია - „რაოდენობა და წარმატება ყოველგვარ სასწავლებელში რუსებისა, ქართველებისა და სომხებისა“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, გასწორებულია ავტორის მიერ ფანქრით, 20 ფ.

79. „მთავარნი საჭიროებისანი სასულიერო წოდებისა“.

პირი: საქართველოს ეგზარქოსი ვლადიმირი.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 6 ფ.

80. „Кем заселить Абхазию“.

უთარილო, ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, აქვს ავტორისსავე მინაწერი ფანქრით: „დაიბეჭდა გაზეთს „Тифлиский Вестник“-ში მოწინავე წერილებად“, 41 ფ.

81. „Кризис в грузинской церковно-приходской школе“.

უთარილო, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი, გასწორებული იაკობ გოგებაშვილის მიერ, 12 ფ.

82. „Опасная сторона грузинской жизни“.

უთარილო, ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, შავი, 4 ფ.

83. „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“.

უთარილო, ავტოგრაფი, ნაწილობრივ ფანქრით ნაწერი, შავი, 112 ფ.

84. „საღმრთო ისტორია“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ავტორისსავე მინაწერი: „იწერებოდა ეს ისტორია სამოციან წლებში, მაგრამ მერე თავი დაეანებე“, დაზიანებულია, 90 ფ.

85. „Безправие грузинского языка и самых грузин в учебной области“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ჩამატებული აქვს ავტოგრაფისეული ნაწერი 4 ფურცელი, ახლავს ავტორის წარწერა: დაიბეჭდა რაზვესტში - ოთხს ნომერში, 17 ფ.

86. „Письма из Грузии. Письмо первое“.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ახლავს ავტორის მინაწერი ფანქრით: „არ დაბეჭდილა“, 10 ფ.

87. „Письма из Грузии. Письмо первое“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 6ფ.

88. „Голос из Грузии.“ (корреспонденция газеты „Русь“).

პირი: პავლე (საქართველოს ეგზარქოსი).

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, გასწორებულია წითელი მელნით, 4 ფ.

89. „Не вероятный слух“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

90. „Вынужденное объяснение (по поводу семинарских дел)“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 10 ფ.

91. „Конец объяснительной записки“.

სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების თაობაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, თავნაკლული, 5 ფ.

92. წერილი რუსული მეთოდის შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, თავნაკლული, 5 ფ.

93. სტატია სახალხო განათლების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, დაწერილია სხვისი ხელით, გასწორებულია იაკობ გოგებაშვილის მიერ ფანქრით, 7 ფ.

94. „К вопросу о состоянии Тифлисской духовной семинарий“.

უთარილო, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი, ახლავს იაკობ გოგებაშვილის მინაწერი ფანქრით: „აქვე სძევს შავი წერილისა, რომელიც ამ სტატიასთან ერთად გაეგზავნა ექვსი წლის წინედ ბობეღონოსცევსა. ეს სტატია ეხლა შეიძლება დაიბეჭდოს, როგორც ისტორიული“, 16 ფ.

95. „Корреспонденция „Современных известий“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი შავი, ხელმოწერილია: „Н. К.“; ახლავს ავტორის მინაწერები ფანქრით: „ეს წერილი Современ извест. დაბეჭდეს; მაგრამ ერთი თვით იქმნა შეჩერებული, თუმცა კონსერვატორულის მიმართულების იყოს მიმართულების იყოს“; ამისი შავი დაკარგულია. ნომერი Современ извест. სადაც დაიბეჭდა კორესპონდენცია დამიკარგა მუხრანსკიმ“; 4 ფ.

96. „Народная школа в Грузии и учебный план г. Яковского“.

უთარილო, ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, შავი, დაუმთავრებელი, 9 ფ.

97. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში საშუალო სასწავლებლების გახსნის აუცილებლობის შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, თავნაკლული, 9 ფ.

98. იაკობ გოგებაშვილის საპასუხო სტატია გ. წერეთლის კრიტიკული სტატიის მიმართ.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, თავნაკლული, ფანქრით ნაწერი, 5 ფ.

99. თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ.

უთარილო, სხვისი ხელით ნაწერი, 62 ფ.

100. „Вопросные пункты“. სამრევლო სკოლების შესახებ.

უთარილო, ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, დაუმთავრებელი, 1 ფ.

101. „К вопросу о ссылке Грузинского епископа (голос из Грузии)“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ბოლონაკლული, 2 ფ.

102. ჩანაწერები კონსტანტინე ფოცხვერაშვილის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

103. „Особое мнение“.

სათავადაზნაურო სკოლის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ნაკლული, ნაწილობრივ ფანქრით ნაწერი, 10 ფ.

104. „Предисловие“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 2 ფ.

105. იაკობ გოგებაშვილის პასუხი კომისიის პროტოკოლზე საკუთარი წიგნის „Русское слово“-ს შესახებ.

უთარილო, ნაბეჭდი, გასწორებული იაკობ გოგებაშვილის მიერ, 3 ფ.

106. იაკობ გოგებაშვილის ნაშრომების სია.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ნაწილობრივ ფანქრით ნაწერი, 17 ფ.

V მასალები სახელმძღვანელოებისათვის

107. ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშები „დედა ენის“ სახელმძღვანელოდან თარგმნილი რუსულ ენაზე.

უთარილო, სხვისი ხელით ნაწერი, რუსულ ენაზე, ახლავს იაკობ გოგებაშვილის მინაწერი: „перевод И.Ф. Тхоржеского и А.А. Тхоржеской“; 5 ფ.

108. მასალა „დედა ენის“ პირველი ნაწილისათვის.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ნაწილობრივ ფანქრით ნაწერი, დაუსრულებელი, 1 კონვერტი, 17 ფ. იხ. თხზულებანი, V, გვ. 313.

109. „დედა ენის“ მეორე ნაწილში დაბეჭდილი ლექსების კრებული. („საბავშვო ლექსები აკაკისაგან გასწორებული და დაწერილი“).

უთარილო, სხვისი ხელით ნაწერი, გასწორებულია ფანქრით, 1 ბლოკნოტი, 12 ფ.

110. მასალები სკოლის სახელმძღვანელოსთვის.
პატარა მოთხრობები.

უთარილო, ავტოგრაფი, ფანქრით ნაერი, შავი, 83 ფ.

111. მასალები „Русское слово“ -სათვის.
მოთხრობები.

უთარილო, ნაბეჭდი, ბოლოში ხელით ნაწერი (8 ფ.), ახლავს 3 ილუსტრაცია და 2 სურათი (ამონაბეჭდი), 128.

112. შმერლინგის ილუსტრაციები იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებისათვის „იავნანამ რა ჰქმნა“.

უთარილო, 8 ფ.

113. შმერლინგის ილუსტრაციები სხვადასხვა თხზულებებისათვის (თვედორე მღვდელი, დემეტრე თავდადებული და სხვ.).

უთარილო, 10 ფ.

114. როტერისის და მრევლიშვილის ილუსტრაციები საბავშვო თხზულებებისათვის.

უთარილო, დაზიანებულია 34-ე და 35-ე ფურცლები, 43 ფ.

115. „Русское слово“.
ფრაგმენტი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, შავი, 4 ფ.

116. „საქართველოს მოკლე გეოგრაფია“.

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარიდან“ სხვადასხვა ჩანაწერები და ნაწყვეტები.

უთარილო, ნაწილობრივ ნაბეჭდი, ნაწილობრივ ავტოგრაფი, 83 ფ.

117. პირველდაწყებითი წერის ნიმუშები.

უთარილო, ნაწილობრივ ნაბეჭდი, ნაწილობრივ ავტოგრაფი, 11 ფ.

118. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები დაბეჭდილი „ჯეჯილში“: 1) თავდადებული ქართველი ეჯიბი, 2) სამასი თავდადებული გლეხი, 3) ქართველთა მეფე გლეხის ქონში სტუმრად, 4) საშინელი სასჯელი მოღალატისა.

უთარილო, ავტოგრაფი, 1 რეკული, 24 ფ.

119. საქართველოს რუკა.

უთარილო, ნაბეჭდი, 1 ც.

VI ჩანაწერები, მოხსენებითი ბარათები, ამონაწერები

120. იაკობ გოგებაშვილის ჩანაწერები: „გამოწვევა“ და „საქმენი ბ-ნი ჟორდანიასი“.

პირი: თედო ჟორდანიასი, ანტონ ფურცველაძე, ვახტანგ თულაშვილი, ალექსანდრე ჭყონია, დავით კარიჭაშვილი, ლევან მღებროვი, ილია ჭავჭავაძე, გრიქუროვი, დიმიტრი ბაქრაძე, დეკანოზი დამბაშიძე, ანტონ ფურცველაძე, ჩუღეცკი (სასულიერო სემინარიის რექტორი), დავით დათაშიძე.

[1893 წ.] ავტოგრაფი, შავი, ნაწილი ფანქრით ნაწერი, 39 ფ.

121. იაკობ გოგებაშვილის ჩანაწერი ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების დაცული საბუთებისა და ქაღალდების შესახებ (ანდერძი, ქვითრები, ხელნაწერები...)

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 1 კონვერტი, 2 ფ.

122. ჩანაწერები ეპისკოპოს კირიონისა (საძაგლიშვილი) და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

პირი: არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია); პროტოიერარქი ვოსტორგოვი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ნაწილი ფანქრით ნაწერი, 5 ფ.

123. ჩანაწერები, ფრაგმენტები.

უთარილო, ქართულ და რუსულ ენებაზე, ავტოგრაფი,
უმეტესად ფანქრით ნაწერი, შავი, 29 ფ.

124. ამონაწერი წიგნიდან „Церковные вопросы в России“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 18 ფ.

125. „საყმაწვილო ლექსები“.

გადაწერილი იაკობ გოგებაშვილის ხელით.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ნაწილობრივ ფანქრით ნაწერი, 12 ფ.

126. Грузинские пословицы.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, შავი, 4 ფ.

127. „აფორიზმები“.

უთარილო, ავტოგრაფი, ორ ეგზემპლარად, 2 ფ.

128. „წინასიტყვაობა“.

საკუთარი ნაწერების კრებულისათვის.

უთარილო, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, 2 ფ.

129. იაკობ გოგებაშვილის მოხსენიებითი ბარათი განათლების სამინისტროს
სამეცნიერო საბჭოსადმი საკუთარი „Русское Слово“-ს შესახებ.

1899 წ. 21 ივლისი, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი,
ბოლონაკლული, 1 ფ.

130. იაკობ გოგებაშვილის მოხსენიებითი ბარათი ქუთაისის გუბერნიის სახალხო
სკოლების დირექტორის მიმართ.

„Русское Слово“-ს გამოყენების შესახებ ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლებში.

1900 წ., 27 იანვარი, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი,
გასწორებული იაკობ გოგებაშვილის მიერ, შავი, 2 ფ.

131. იაკობ გოგებაშვილის მოხსენიებითი ბარათი გორის ეპისკოპოსის ბენიამინის
მიმართ „Русское Слово“-ს თაობაზე.

1904 წ., 14 ივნისი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 3 ფ.

132. იაკობ გოგებაშვილის მოხსენიებითი ბარათი საქართველოს ეგზარქოსის
აღექსის მიმართ „Русское Слово“-ს თაობაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი, გასწორებული
იაკობ გოგებაშვილის მიერ, შავი, 4 ფ.

133. ი. გოგებაშვილის მოხსენებითი ბარათი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კირილე იანკოვსკის მიმართ „Русское Слово“-ს თაობაზე.

უთარილო, გასწორებულია ფანქრით ი. გოგებაშვილის მიერ, შავი, ახლავს ი. გოგებაშვილის მინაწერი ფანქრით: „ეს ზაპისკა მივეცი და გასჭრა, იგივე გამოცემა მოწონებული იქნა მთავრობისგან“, 16 ფ.

134. ი. გოგებაშვილის მოხსენებითი ბარათი ქუთაისის გუბერნიის სახლახო სკოლების დირექტორის მიმართ, „Русское Слово“-ს თაობაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი, შავი, 2 ფ.

135. ი. გოგებაშვილის მოხსენებითი ბარათი სინოდის ობერ-პროკურორის კ. პ. პრობედონოსცევისადმი საკუთარი „დედა ენის“ თაობაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი, გასწორებული ი. გოგებაშვილის მიერ, ახლავს გ. გოგებაშვილის მინაწერი ფანქრით: „ამ საჩივარმაც გაჭრა“, 9 ფ.

136. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მოხსენებითი ბარათი ეგზარქოს ვლადიმირის მიმართ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს „დედა ენის“ თაობაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, 14 ფ.

137. ი. გოგებაშვილის თხოვნა საქართველოს ეგზარქოსის მიმართ „დედა ენის“ შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, შავი, ფანქრით, დაზიანებულია, 1 ფ.

138. ი. გოგებაშვილის თხოვნა საქართველოს ეგზარქოსის ფლავიანეს მიმართ „დედა ენის“ შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი, გასწორებულია ი. გოგებაშვილის მიერ, 3 ფ.

VII რეცენზიები

139. დიმიტრი ყიფიანის რეცენზია „დედა ენაზე“.

1876 წ., 2 ოქტომბერი, დ. ყიფიანის ხელით ნაწერი,
ი. გოგებაშვილის შენიშვნები, ფანქრით, 2 ფ.

140. ამონაწერი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს სხდომის ოქმიდან ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს შესახებ.

1888 წ., 22 დეკემბერი, 1889 წ., 4 იანვარი, რუსულ ენაზე,
ხელით ნაწერი, 4 ფ.

141. თედო ჟორდანიას მიმართვა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ ნიკოლოზის მიმართ ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს თაობაზე.

1891 წ., 13 იანვარი, რუსულ ენაზე, ასლი, თ. ჟორდანიას ხელით
ნაწერი, 2 ფ.

142. ჟურნალ „Филологическая библиотека“-ს რედაქტორის ადოლფ ლი ბერმანის წერილი ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობის მიმართ.
სთხოვს უშუამდგომლონ ი. გოგებაშვილთან, რათა მან „Русское Слово“-ს გაუგზავნოს ა. ლიბერმანს სარეცენზიოდ.

1894 წ., 15 აპრილი, რუსულ ენაზე, სხვისი ხელით ნაწერი,
დაზიანებულია, 1 ფ.

143. ამონაწერი კავკასიის სასწავლო მზრუნველი საბჭოს სხდომის ოქმიდან (N 3).
ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს I და II ნაწ. ახალი გამოცემების შესახებ და საბჭოს წევრის ი.ა.კრუპენიკოვის რეცენზია ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე.

1900 წ., 2 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

144. ტ. ფირუმიანის რეცენზია ი. გოგებაშვილის ნაშრომზე „ბურჯი ეროვნების“.

1904 წ., ხელით ნაწერი, შავი 1 ფ.

145. რეცენზია ი. გოგებაშვილის მოხსენებაზე „იავნანამ რა ჰქმნა“. დაბეჭდილია 1907 წ., 21 იანვრის ნომერში, გაზ. „ჰოსანქში“.

პირი: ე. კარაპეტციანი (მთარგნელი)
1907 წ., 21 იანვარი, ხელით ნაწერი, ხელმოწერილია ფსევდონიმით
პიერი, 1 ფ. 1 კ.

146. ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს გამსვლელი კომისიის სხდომის ოქმის პირი.

1908 წ., 15 იანვარი, ქუთაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი,
ასლი, 2 ფ.

147. „დედა ენის“ პირველსა და მეორე ნაწილში მოთავსებული უცნობის სიტყვების განმარტება გერასიმე იმნაიშვილის მიერ.

1911 წ., ხელით ნაწერი, 22 ფ.

148. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოში მოსმენელი რეცენზია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ასლი, 2 ფ.

VIII ოქმები და ხელშეკრულებები

149. ხელშეკრულება დადებული ი. გოგებაშვილის და სოლომონ არტემის ძე ვართანოვს შორის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს „დედა ენის“ დაბეჭდვის შესახებ.

1878 წ., 18 მარტი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, ახლავს ავტორისავე მინაწერი ფანქრით: „ეს პირობა იმითია შესანიშნავი, რომ ბევრით ნაკლებს ვუთმობდი ვართანოვსა, ვიდრე ეხლა წერა-კითხვის საზოგადოებას“, 1 ფ.

150. ოქმი კომისიისა, რომელიც აირჩია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ სწავლა-განათლების საკითხების მოსაგვარებლად (კომისიის ერთ-ერთი წევრია იაკობ გოგებაშვილი).

პირი: კ. მამაცაშვილი, დ. ბაქრაძე, გ. თუმანიშვილი, ი. მაჩაბელი, ნ. კანანაშვილი, ი. ჭავჭავაძე.

1884 წ., 16 ივნისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ასლი, 1 ფ.

151. სამოსწავლო გეგმა წერა-კითხვის საზოგადოების პირველდაწვებითი სკოლებისა.

1886 წ., ავტოგრაფი, შავი, დაწერილია ფანქრით, 1 ფ.

152. ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიის ხელწერილები ი. გოგებაშვილისაგან წიგნების მიღების თაობაზე.

1898 წ., 16 მარტი, 1912 წ., 17 მაისი, რუსულ ენაზე, ზ. პ. გრიქუროვის ხელით ნაწერი, 3 ფ.

153. ა.ა. ღუბროვინის წიგნის მაღაზიის მიმართვა ზაქარია გრიჭუროვს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გაგზავნის თაობაზე.

1900 წ., 5 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 3 ფ.

154. ანგარიშები იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელობისა და სხვა თხზულებების გაყიდვის შესახებ. აქვე: სია წიგნის მაღაზიების დასავლეთ საქართველოში.

1901-1911 წ., ავტოგრაფი, 22 ფ. 1 კ.

155. იოსებ იმედაშვილის ხელწერილი იაკობ გოგებაშვილისგან წიგნების მიღების თაობაზე.

1902 წ., 20 ოქტომბერი, ი. გოგებაშვილის ავტოგრაფი, 1 ფ.

156. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება დაწერილი ნიკო ცხვედაძის და შესწორებული ი. გოგებაშვილის მიერ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, შავი, ახლავს ფანქრით მინაწერი: „შავი დაწერილი ნიკო ცხვედაძის მიერ და შეესწორებული ი. გოგებაშვილისგან“, 8 ფ.

157. კომისიის ოქმი ქართული წერის დედნების შესახებ ი. გოგებაშვილის, გაბიჩვაძისა და ს. დათეშიძის ნიმუშთა მიხედვით.

უთარილო, ხელით ნაწერი, ხელს აწერენ: ი. ნიკოლაიშვილი, ს. დათეშიძე, ს. რობაქიძე, დ. ლორთქიფანიძე (კომისიის წევრები), ასლი, 1 ფ.

IX მიმართვები და მოსაწვევი ბარათები

158. საქართველოს ეკლესიისა და სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა მიმართვა [კავკასიის მეფისნაცვალს]. სთხოვენ შუამდგომლობას რუსეთის იმპერატორთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, შავი, ი. გოგებაშვილის ავტოგრაფი, დაუმთავრებელი, 4 ფ.

სხვადასხვა პირის მიმართვები და მოსაწვევი ბარათები იაკობ გოგებაშვილის სახელზე

159. თეკლათის დედათა მონასტრის იღუმენია ათანასის მიმართვა (№20) ი. გოგებაშვილს.

აცნობებს, რომ 1898 წელს მონასტერთან გაიხსნა საეკლესიო სკოლა ქალებისათვის; ამჟამად კი განზრახული აქვს აღნიშნული სკოლისთვის დამატებითი შენობის აგება, რისთვისაც სთხოვს მატერიალურ დახმარებას.

1900 წ., 27 იანვარი, ნაბეჭდი, 1 ფ.

160. ი. ამილახვარის მიმართვა ი. გოგებაშვილს.

აცნობებს, რომ იაკობ გოგებაშვილმა უნდა შეადგინოს საიუბილეო წიგნის რამდენიმე განყოფილება.

1901 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ოფიციალურ ბლანკზე, დაზიანებული, 1 ფ.

161. ივანე გვიის ძე ამილახვარის (საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავისათვის აღსანიშნავი საიუბილეო წიგნის გამომცემელი კომისიის თავმჯდომარე) მიმართვა (№29) ი. გოგებაშვილს.

აცნობებს, რომ საიუბილეო წიგნში უნდა დაიბეჭდოს მისი პორტრეტი, რისთვისაც სთხოვს გაუგზავნოს ფოტოსურათი.

1901 წ., 10 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავი, 1 ფ.

162. ი. გ. ამილახვარის მიმართვა (№92) ი. გოგებაშვილს.

აცნობებს, რომ არჩეულია საიუბილეო წიგნის სარედაქციო კომისიაში (კომისიის წევრები მასთან არიან: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ე. თაყაიშვილი). თან ახლავს საიუბილეო წიგნის მოკლე პროგრამა.

1901 წ., 8 მაისი, რუსულ ენაზე, მიმართვა ნაბეჭდი, პროგრამა ხელით ნაწერი, ასლი, 3 ფ.

163. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გ. ბაგრატიონ-დავითაშვილის მიმართვა (№773) ი. გოგებაშვილს.

სთხოვს მივიდეს თავად-აზნაურთა საკრებულოში თათბირზე დასასწრებად.

1906 წ., 11 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

164. საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარის სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ გერმაგენის მიმართვა (№802) ი. გოგებაშვილს.

აცნობებს, რომ მისი წიგნი „Русское Слово“ ნებადართულია საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში რუსული ენის სახელმძღვანელოდ.

1900 წ., 30 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, დაზიანებულია, 1 ფ.

165. თიანეთის მაზრის უფროსის ბ. გოგოხიას მიმართვა (№558) ი. გოგებაშვილს. სთხოვს შუამდგომლობას ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებასთან სოფელ ზემო ალვანის სასწავლებლის აღდგენის თაობაზე.

პირი: ბობლიევი (თუში მასწავლებელი).

1907 წ., 30 მაისი, თიანეთი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 2 ფ.

166. საქართველოს ეპარქიალური სასწავლებლის გორის განყოფილების თავმჯდომარის დეკანოზ ბესარიონ თავდგირიძის მიმართვა (№656) ი. გოგებაშვილს.
მადლობას უხდის ვარიანის სკოლის ასაშენებლად 200 მანეთის შეწირვის გამო.

1903 წ., 1 ივლისი, გორი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი
ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

167. ბესარიონ თავდგირიძის მიმართვა (№761) ი. გოგებაშვილს.
გორის განყოფილების სახელით მადლობას უხდის თანადგომისათვის დახმარებისათვის ვარიანის სკოლისთვის შენობის დაგირავების, სასკოლო ავეჯისა და სახელმძღვანელოების შექმნისათვის.

1903 წ., 1 აგვისტო, გორი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი
ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

168. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიმართვა (№3082) ი. გოგებაშვილის შვილს.
სწერს, რომ მზრუნველ საბჭოს არ მიაჩნია საჭიროდ ხელმეორედ განიხილოს და შეაფასოს მისი „Русское Слово“, რომელიც გასულ 1888 წლის სხდომაზე არ იქნა მოწონებული და ნებადართული კავკასიის სასწავლო ოლქის დაწყებითი სკოლებისთვის.

1889 წ., 1 მაისი, თბილისი, რუსულ ენაზე, ხელით
ნაწერი, ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

169. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის მიმართვა (№9854) იაკობ გოგებაშვილის მიმართ.
აცნობებს, რომ სასწავლო ოლქის საბჭომ 1889 წ. 25 ნოემბრის სხდომაზე განიხილა და მოიწონა მისი „Русское Слово“ ქართული დაწყებითი სკოლებისათვის. საბჭოს სხდომის ოქმი დამტკიცებულია მთავარმართებლის მიერ.

1889წ., 8 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ოფიციალურ
ბლანკზე, 1 ფ.

170. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიმართვა (№525) ი. გოგებაშვილს.
აცნობებენ, რომ „Русское Слово“-ს გამოცემა მოწონებული და ნებადართულია ქართული დაწყებითი სკოლებისთვის.

1891 წ., 25 იანვარი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი,
ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

171. კავკასიის სასწავლო ოლქის კანცელარიის მიმართვა (№14553) ი. გოგებაშვილის მიმართ მისი წიგნების დაშვების შესახებ ფუნდამენტალურ და სასკოლო ბიბლიოთეკაში.

1898 წ., 16 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი
ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

172. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიმართვა (№13505) ი. გოგებაშვილს.
უგზავნიან ამონაწერს სამზრუნველი საჭოს სხდომის ოქმიდან, მისი წიგნის „Русское Слово“-ს მოწონების შესახებ.

1900 წ., 2 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი,
ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

173. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის მიმართვა (№14470) ი. გოგებაშვილს.
აცნობებენ, რომ „Русское Слово“-ს I და II ნაწილი მოწონებული და ნებადართულია ქართული დაწეებითი სკოლების სახელმძღვანელოდ.

1900 წ., 29 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი,
ოფიციალურ ბლანკზე, 2 ფ.

174. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მიმართვა (№1185) ი. გოგებაშვილს.
სთხოვენ ვ. ნ. გევესიკის, ი. ი. წინამძღვრიშვილისა და ს. ა. დანდუროვთან ერთად განიხილოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დებულების პროექტი და წარმოადგინონ დასკვნა.

1895 წ., 12 ოქტომბერი რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი
ოფიციალურ ბლანკზე, დაზიანებულია, 1 ფ.

175. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მდივნის მიმართვა (№1582) ი. გოგებაშვილს.
აცნობებენ, რომ სახალხო განათლების საქმეში მშობლიური ენის მნიშვნელობის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. სულთან-კრიმგირეი სთხოვს მას დაესწროს კომისიის სხდომას.

1902 წ., 16 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

176. კავკასიის სოფლის მეურნეობის მდივნის მიმართვა ი. გოგებაშვილს.
სთხოვს ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის დავალებით დაესწროს საზოგადოების სხდომას, სადაც განხილულ იქნება „დედა ენის“ შესწავლის მნიშვნელობა სახალხო განათლების საქმეში.

1903 წ., 13 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი
ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

177. კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების მიმართვა (№72) ი. გოგებაშვილს.
საზოგადოების გამგეობა თანახმაა, რომ ი. გოგებაშვილის ბროშურის „Как поднять кавказскую народную школу“ შემოსავლის ნაწილი მოხმარდეს სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას.

1903 წ., 26 მარტი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი
ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

178. ქართველ სტუდენტთა დამხმარე კავკასიის საზოგადოების გამგეობის მიმართვა (№67) ი. გოგებაშვილს.
მადლობას უხდის თანხის შეწირვისთვის.

1904 წ., 15 აპრილი, თბილისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი
ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

179. თბილისის გუბერნიის თავად-ახნაურთა წინამძღოლის დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილის მიმართვა ი. გოგებაშვილს.
სთხოვს ესტუმროს სახლში დ. მელიქიშვილს სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკითხზე მოსალაპარაკებლად.

1904 წ., 10 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

180. საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარის, სემინარიის რედაქტორის არქიმანდრიტ ნიკოლოზის მიმართვა (№62) ი. გოგებაშვილს.
აცნობებს, რომ ეპარქიალურმა საბჭომ განიხილა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და ჩათვალა ის შეუფერებლად საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის. საბჭო სთხოვს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო შეადგინოს ამ სკოლებისთვის გათვალისწინებული პროგრამის მიხედვით.

1890 წ., 3 თებერვალი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი,
ოფიციალურ ბლანკზე, დაზიანებულია, 1 ფ.

181. კიევის სასულიერო აკადემიის რექტორის ეპისკოპოს პლატონის მიმართვა (№207) ი. გოგებაშვილს.
მადლობას უხდის მისი წიგნების გაგზავნისათვის.

1905 წ., 8 თებერვალი, კიევი, რუსულ ენაზე, ხელით
ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

182. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნ. რუდოლფის მიმართვა (№22733) ი. გოგებაშვილს. მადლობას უხდის ნაბეჭდი მასალის გაგზავნისათვის.

1907 წ., 12 დეკემბერი, თბილისი, რუსულ ენაზე,
ნაბეჭდი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

183. რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების მიმართვა ი. გოგებაშვილს.
იწვევენ ნ. ვ. გოგოლის ძეგლის გახსნაზე მოსკოვში 1909 წლის 26 აპრილს.

1909 წ., 14 თებერვალი, მოსკოვი, რუსულ და ქართულ
ენებზე, ნაბეჭდი, 1 კ., 2 ფ.

184. საზოგადოება „განათლების“ მოსაწვევი ბარათი ი. გოგებაშვილის ისტორიულ საღამოზე დასასწრებად.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელს აწერს ნინო
ბარათაშვილი, 1 ც.

185. მოსაწვევი ბარათი სათავადაზნაურო სკოლის სასარგებლოდ გამართულ მეჯლისზე ი. გოგებაშვილის მიმართ.

1896 წ., 6 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელს აწერს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, 1 ფ.

186. მოსაწვევი ბარათი სათავადაზნაურო სკოლის სასარგებლოდ გამართულ მეჯლისზე დასასწრებად ი. გოგებაშვილის სახელზე გამოგზავნილი.

1901 წ., 6 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელს აწერს ჯამბაკურ-ორბელიანი, 1 ფ.

187. სამეურნეო ბანკის გამგეობის მიმართვა ი. გოგებაშვილს. ახსენებენ, მისი თამასუქის ვადა ივნისია.

1909 წ., 26 მაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

188. საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარის სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ სერაფიმეს მიმართვა (№1342) ი. გოგებაშვილს ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ საეკლესიო სამრევლო სკოლებისათვის.

1897 წ., 27 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

189. საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარის სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ სერაფიმის მიმართვა (№360) ი. გოგებაშვილს. აცნობებს, რომ მისი წიგნი „მომავლის მცველი“ ნებადართულია საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ბიბლიოთეკებისთვის.

1898 წ., 25 თებერვალი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

190. საქართველოს ეპარქიალური საბჭოს მიმართვა (№2044) ი. გოგებაშვილს. მადლობას უხდის წიგნების შეწირვისათვის.

1902 წ., 28 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

191. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმართვა (№145) ი. გოგებაშვილს მისი არჩევის შესახებ ამ საზოგადოების ნამდვილ და დამფუძნებელ წევრად.

1907 წ., 29 დეკემბერი, ნაბეჭდი, ხელს აწერენ:
ე. თაყაიშვილი (საზოგადოების თავმჯდომარე) და
ს. გორგაძე (მდივანი).

192. სახალხო განათლების დეპარტამენტის ორი მიმართვა (№№19354, 1515) ი. გოგებაშვილის მიმართ.

აცნობენ, რომ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო „ბუნების კარი“ მოწონებული და ნებადართულია სახალხო სკოლებისათვის და პროგიმნაზული კლასებისათვის.

1885 წ., 24 დეკემბერი, 1886 წ. 25 იანვარი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, ასლი, 2 ფ.

193. კიევის სასულიერო აკადემიის რექტორის ეპისკოპოს სილვესტრის მიმართვა (№72) ი. გოგებაშვილის მიმართ.
აცნობებს, რომ აკადემიის ბიბლიოთეკამ მიიღო მის მიერ შედგენილი ქართული ენის სახელმძღვანელო წერილთან ერთად.

1886 წ., 23 იანვარი, კიევი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

194. კიევის სასულიერო აკადემიის რექტორის ეპისკოპოს სილვესტრის მიმართვა (№104) ი. გოგებაშვილს.
მადლობას უხდის აკადემიის ბიბლიოთეკის „Русское Слово“-ს გაგზავნისთვის.

1891 წ., 14 მარტი, კიევი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, დაზიანებულია, 1 ფ.

195. ჰენრიხ ადოლფის ძე ფალბორკის მიმართვა (№600) ი. გოგებაშვილს.
სწერს, რომ თავისი გამოკვლევებისათვის მცირე მასალა აქვს სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. სთხოვს მიაწოდოს ნარკვევი სახალხო განათლების შესახებ.

1901 წ., 13 ივნისი, სანკტ-პეტერბურგი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

196. ჰენრიხ ფალბორკის მიმართვა (№752) ი. გოგებაშვილს.
მადლობას უხდის მასალის მიწოდებისთვის.

1901 წ., 25 ოქტომბერი, სანკტ-პეტერბურგი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

197. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართვა (№87) ი. გოგებაშვილს.
მადლობას უხდის იმის გამო, რომ ი. გოგებაშვილმა საზოგადოებას დაუთმო 15 წიგნის გამოცემის უფლება და უფასოდ გადასცა ამ გამოცემისათვის საჭირო კლიშეები.

1900 წ., 2 მარტი, ი. ჭავჭავაძის ავტოგრაფი, ოფიციალურ ბლანკზე ხელს აწერენ ი. ჭავჭავაძე, (საზოგადოების თავმჯდომარე) და ა. მიქაბერიძე (მდივანი), 1 ფ.

198. ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების მიმართვა (№469) ი. გოგებაშვილს.
საზოგადოება მადლობას უხდის ი. გოგებაშვილს ორასი მანეთის შეწირვისთვის ბათუმის სკოლის სასარგებლოდ.

1901 წ., 28 ნოემბერი, ნ. ცხვედაძის ავტოგრაფი, დაწერილია ოფიციალურ ბლანკზე, ხელს აწერენ ნ. ცხვედაძე და პ.

მირიანაშვილი (საქმის მწარმოებელი), 1 ფ.

199. ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების მიმართვა (№236) ი. გოგებაშვილს.

საზოგადოება სთხოვს გოგებაშვილს დაუთმოს „ Русское Слово“-ს გამოცემის ნებართვა.

1911 წ., 19 სექტემბერი, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, ხელს აწერენ: ალ. მდივანი და გ. ბურჭულაძე (საქმის მწარმოებელი), 1 ფ.

200. ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიის ანგარიში ი. გოგებაშვილის მიმართ წიგნების გაგზავნის შესახებ პეტერბურგში.

1912 წ., 28 თებერვალი, ხელით ნაწერი ოფიციალურ ი. ავალიშვილის ხელმოწერით, 1 ფ.

201. ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის გ. ყაზბეგის მიმართვა (№131) ი. გოგებაშვილს.

აცნობებს, რომ მიწვეულია გამგეობის სხდომაზე. აქვე უგზავნის აღნიშნულ სხდომაზე განსახილველ საკითხთა სიას.

1912 წ., 12 მარტი, თბილისი, ნაბეჭდი ოფიციალურ ბლანკზე, ხელს აწერს გ. ყაზბეგი, 2 ფ.

202. ქართული დრამატული საზოგადოების სასარგებლოდ გამართული საცეკვაო საღამოს მოსაწვევი ბარათი ი. გოგებაშვილის მიმართ.

1898 წ., 2 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელს აწერს თამარ გრუზინსკაია, 1 ფ.

203. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის მიმართვა ი. გოგებაშვილს.

სთხოვენ დაესწროს საზეიმო დილას, რომელსაც მართავს საიუბილეო კომიტეტი მარიამ საფაროვა-აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავად.

უთარილო, ნაბეჭდი, ხელს აწერენ: ნ. ქართველიშვილი (გამგეობის თავმჯდომარე), ანასტასია მაჩაბელი (კომიტეტის წევრი), 1 ფ.

204. სოფელ ქვენობანის სასკოლო კომისიის წევრთა (მღვდელი ირაკლი ქორიძე, ისიდორე ლომაძე, ბათლომე მეგრელიძე, სიმონ ნანაძე, სონია მგალობლიშვილი-გოგიბერიძესა) მიმართვა ი. გოგებაშვილს.

სურთ სოფელ ქვენობანში ააშენონ ახალი სკოლა, რადგან ძველი შენობა პატარაა და მოსწავლეებს ვერ იტევს. სთხოვენ მატერიალურ დახმარებას.

1912 წ., 27 მარტი, სოფ. ქვენობანი, ნაბეჭდი, 1 ფ.

205. იასონ ჩაჩანიძის თხოვნა იაკობ გოგებაშვილს.

სთხოვს გუდაუთის წიგნთსაცავ-სამკითხველოსთვის წიგნების შეწირვას.

უთარილო, ხელით ნაწერი, ხელს აწერენ მღვდლები:
იასონ ჩაჩანიძე, თეოფილე გოგიტიძე 1 ფ.

206. ხონის ქალთა პროგიმნაზიის დარბი მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის კესარია ტატიშვილის მიმართვა (№5) ი. გოგებაშვილს. საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

1902 წ., 19 თებერვალი, ხონი, რუსულ ენაზე,
ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, 1 ფ.

207. ა. ჯაბადრის და ს. ინასარიძის მიმართვა ი. გოგებაშვილს. სწერენ, რომ უგზავნიან [„ამიერკავკასიაში დაბადებულ დარბი მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების“] წესდებას შესასწორებლად.

1892 წ., ნოემბერი ნაბეჭდი, 1 ფ.

X მიმოწერა

ა) იაკობ გოგებაშვილის წერილები სხვისი მისამართით

208. ი. გოგებაშვილის წერილი შალვა გოგებაშვილს. ეხება შალვა გოგებაშვილის დედის გარდაცვალებას.

პირი: მისა ახალბედაშვილი.
უთარილო, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, 1 ფ.

209. ი. გოგებაშვილის წერილი პართენ [გოთუას] მიმართ. ეხება ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის საკითხს და საყვედურობს „ივერიაში“ დაბეჭდილი უსამართლო სტატიების გამო.

